



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

დევნილმა ოჯახმა საცხოვრებლით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დავა მოიგო

დევნილმა ოჯახმა საცხოვრებლით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დავა მოიგო

საია-ს ზეგდიდის ოფისი იცავდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის ინტერესებს, რომელსაც ოჯახსაც სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ უარი უთხრა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე. აღსანიშნავია, რომ დევნილი ოჯახი ცხოვრობდა სიცოცხლისათვის /ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტში, რაც დასტურდებოდა ექსპერტიზის დასკვნით. მიუხედავად ამისა, მათი მოთხოვნა საცხოვრებლით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით სააგენტომ არ დააკმაყოფილა.

საია-ს დახმარებით, დევნილმა ოჯახმა გაასაჩივრა ის გადაწყვეტილება, რომლითაც უარი უთხრეს საცხოვრებლის გადაცემაზე. სამივე ინსტანციის სასამართლოში დავა დევნილი ოჯახის სასარგებლოდ დასრულდა. სასამართლომ ბათილად ცნო სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს გადაწყვეტილება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დევენილი ოჯახისთვის საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების თაობაზე. მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ახალი აქტის გამოცემა, რომლითაც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახი საცხოვრებლით იქნება უზრუნველყოფილი.